

რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის
2005 წლის 13 ოქტომბრის N 1938 – II ს დადგენილებით

„ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“

ევროპული ჩარჩო კონვენცია

განცხადება კონვენციის 30-ე მუხლის შესაბამისად

ოქმი 30-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე, მოცემული კონვენცია მოქმედებს მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც ვრცელდება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია.

ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა

დაცვის შესახებ

სტრასბურგი, 1.11.1995

წინამდებარე ჩარჩო კონვენციის ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი და სხვა სახელმწიფოები,

ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა იმ იდეალებისა და პრინციპების დაცვის მიზნით, რომლებიც წარმოადგენენ მათ საერთო მემკვიდრეობას;

ითვალისწინებენ, რა რომ ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ მოდელს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და შემდგომი რეალიზაცია;

სურთ რა შეასრულონ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურების მიერ ვენაში 1993 წლის 9 ოქტომბერს მიღებული დეკლარაცია;

გადაწყდა რა მათ ტერიტორიებზე ეროვნული უმცირესობების არსებობის დაცვა;

ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის ისტორიის განვითარებამ გვიჩვენა, რომ ეროვნული უმცირესობების დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს სტაბილურობის, დემოკრატიული უსაფრთხოებისა და მშვიდობისათვის ამ კონტინენტზე;

ითვალისწინებენ რა, რომ პლურალისტური და ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოება არა მხოლოდ პატივს უნდა სცემდეს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი თითოეული პირის ეთნიკურ, ლიგვისტურ და რელიგიურ თვითმყოფადობას, არამედ ასევე უნდა შექმნას სათანადო პირობები, რომლებიც საშუალებას მისცემენ მათ გამოამჟღავნონ, დაიცვან და განავითარონ თავიანთი თვითმყოფადობა;

ითვალისწინებენ რა, რომ ტოლერანტობისა და დიალოგის ატმოსფეროს შექმნა აუცილებელია, რათა კულტურული მრავალფეროვნება წარმოადგენდეს არა დანაწილების, არამედ თითოეული საზოგადოების სულიერი გამდიდრების წყაროსა და ფაქტორს;

ითვალისწინებენ რა, რომ ტოლერანტული და აყვავებული ევროპის რეალიზაცია დამოკიდებულია არა მხოლოდ სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობაზე, არამედ ასევე მოითხოვს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობას ხელისუფლების ადგილობრივ და რეგიონალურ ორგანოებს შორის, თითოეული სახელმწიფოს კონსტიტუციისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მიზნის მიუყენებლად;

მხედველობაში იღებენ რა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასა და მის ოქმებს;

მხედველობაში იღებენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციებსა და დეკლარაციებში, ასევე ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის დოკუმენტებში, კერძოდ, 1990 29 ივნისის კოპენჰაგენის დოკუმენტში განსაზღვრულ ვალდებულებებს ეროვნული უმცირესობების დაცვის მიმართ;

გადაწყდა რა განსაზღვრონ ის პრინციპები, რომელთა პატივისცემაც აუცილებელია და ის ვალდებულებანი, რომლებიც გამომდინარეობენ მათგან, იმ მიზნით, რომ კანონის ფარგლებში წევრ და სხვა სახელმწიფოებში, რომლებიც შეიძლება გახდნენ წინამდებარე დოკუმენტის მხარეები, სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული სუვერენიტეტის პატივისცემით უზრუნველყოფილი იქნას ეროვნული უმცირესობებისა და იმ პირების უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტური დაცვა, რომლებიც მიეკუთვნებიან ამგვარ უმცირესობებს;

გადაწყდა რა განხორციელდეს ამ ჩარჩო კონვენციაში განსაზღვრული პრინციპები მხარეთა ეროვნული კანონმდებლობისა და სათანადო სამთავრობო პოლიტიკის მეშვეობით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი I

მუხლი 1

ეროვნული უმცირესობებისა და იმ პირების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, რომლებიც მიეკუთვნებიან ამგვარ უმცირესობებს, წარმოადგენს ადამიანის უფლებების საერთაშორისო მასშტაბით დაცვის შემადგენელ ნაწილს და როგორც ასეთი, არის საერთაშორისო თანამშრომლობის სფერო.

მუხლი 2

ამ ჩარჩო კონვენციის დებულებების გამოყენება მოხდება კეთილი განზრახვით, ურთიერთგაგებისა და ტოლერანტობის სულისკვეთებით და სახელმწიფოთა შორის კეთილმეზობლობის, მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის პრინციპებთან შესაბამისობაში.

მუხლი 3

1. ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება თავისუფლად აირჩიოს მას მოექცნენ თუ არა, როგორც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელს და დაუშვებელია, რომ ამ არჩევანიდან ან ამ არჩევანთან დაკავშირებული უფლებებით სარგებლობიდან გამომდინარეობდეს რაიმე არაახელსაყრელობა.

2. პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, შეუძლიათ ინდივიდუალურად, ისევე როგორც სხვებთან ერთად კავშირში, განახორციელონ ის უფლებები და ისარგებლონ იმ თავისუფლებებით, რომლებიც გამომდინარეობენ წინამდებარე ჩარჩო კონვენციით უზრუნველყოფილი პრინციპებიდან.

ნაწილი II

მუხლი 4

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების კანონის წინაშე თანასწორობა და კანონის მიერ თანაბარი დაცვა. ამ მიმართებით აკრძალულია ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილებაზე დაფუძნებული ნებისმიერი დისკრიმინაცია.

2. აუცილებლობის შემთხვევაში, მხარეები იღებენ ვალდებულებას მიიღონ ადეკვატური ზომები იმისათვის, რომ ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში ხელი შეუწყონ მთლიანი და ეფექტური თანასწორობის დამკვიდრებას იმ პირებს შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობას და იმათ შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან უმრავლესობას. ამ მხრივ, ისინი სათანადოდ გაითვალისწინებენ იმ პირების სპეციფიკურ მდგომარეობას, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს.

3. მე-2 პუნქტის შესაბამისად მიღებული ზომები არ იქნებიან განხილულნი, როგორც დისკრიმინაციის აქტი.

მუხლი 5

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას შეუქმნან აუცილებელი პირობები იმ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მათი კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის და მათი თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ, რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის.

2. იმ ზომებისათვის ზიანის მუყენებლად, რომელთა მიღებაც ხდება მათი ზოგადი ინტეგრაციული პოლიტიკის შესაბამისად, მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი პოლიტიკისა და პრაქტიკის განხორციელებისაგან, რომლებიც მიზნად ისახავენ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ასიმილაციას მათი სურვილის წინააღმდეგ და უნდა დაიცვან ეს პირები ნებისმიერი ქმედებისაგან, რომელიც მიზნად ისახავს ამგვარ ასიმილაციას.

მუხლი 6

1. მხარეები წაახალისებენ ტოლერანტობისა და კულტურათშორისი დიალოგის სულისკვეთებას და მიიღებენ ეფექტურ ზომებს მათ ტერიტორიებზე მცხოვრებ ყველა პირს შორის ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის მხარდასაჭერად კერძოდ, განათლების, კულტურისა და მასმედიის სფეროში, მიუხედავად ამ პირების ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური ან რელიგიური კუთვნილებისა.

2. მხარეები იღებენ ვალდებულებას მიიღონ შესაბამისი ზომები იმ პირების დასაცავად, რომლებიც შეიძლება დაექვემდებარონ მუქარას ან დისკრიმინაციას, მტრულ დამოკიდებულებას ან ძალადობას მათი ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური ან რელიგიური კუთვნილებისა გამო.

მუხლი 7

მხარეები უზრუნველყოფენ ყველა იმ პირის მშვიდობიანი შეკრების, გაერვიანების, გამოხატვის და აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლების პატივისცემას, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას.

მუხლი 8

მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ თითოეულ პირს, ვინც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება გამოამჟღავნოს მისი რელიგია ან რწმენა და შექმნას რელიგიური დაწესებულებები, ორგანიზაციები და ასოციაციები.

მუხლი 9

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ თითოეული იმ პირის გამოხატვის თავისუფლება, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, ასევე მოიცავს თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებები და მიიღოს და გასცეს ინფორმაცია და იდეები უმცირესობის ენაზე სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად, მხარეები, მათი სამართლებრივი სისტემების ფარგლებში უზრუნველყოფენ, რომ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირები არ განიცდიდნენ დისკრიმინაციას მასმედიის მათთვის ხელმისაწვდომობის მხრივ.

2.1-ლი პუნქტი არ შეუშლის ხელს მხარეებს, დისკრიმინაციის გარეშე და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, მოითხოვონ ხმოვანი რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის ან კინოწარმოების ლიცენზირება.

3. მხარეები ხელს არ შეუშლიან იმ პირების მიერ ბეჭდვითი მასმედიის საშუალებების შექმნას და გამოყენებას, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს. ხმოვანი რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის სამართლებრივ ჩარჩოებში და 1-ლი პუნქტის გათვალისწინებით, ისინი მაქსიმალურად უზრუნველყოფენ, რომ იმ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მინიჭებული ჰქონდეთ მათი მასმედიის საშუალებების შექმნისა და გამოყენების უფლება.

4. მათი სამართლებრივი სისტემების ფარგლებში, მხარეები მიიღებენ ადეკვატურ ზომებს იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ მასმედიისადმი ხელმისაწვდომობა იმ პირებისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს და ხელი შეუწყონ ტოლერანტობას და დაამკვიდრონ კულტურული პლურალიზმი.

მუხლი 10

1.მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ რომ, ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, თავისუფლად და ყოველგვარი ჩარევის გარეშე, აქვს უფლება გამოიყენოს მისი უმცირესობის ენა კერძოდ და საჯაროდ, ზეპირად და წერილსა.

2.იმ ადგილებში, სადაც ტრადიციულად ან დიდი რაოდენობით ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირები, თუკი ეს პირები მოითხოვენ და სადაც ეს მოთხოვნა პასუხობს რეალურ საჭიროებას, მხარეები ეცდებიან მაქსიმალურად უზრუნველყონ ისეთი პირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდიან უმცირესობის ენის გამოყენებას ამ პირების და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის ურთიერთობებში.

3.მხარეები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ ყველა პირისათვის, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, უფლება იყოს სასწრაფოდ ინფორმირებული მისთვის გასაგებ ენაზე მისი დაპატიმრების მიზეზებისა და მის წინააღმდეგ აღძრული ყველა ბრალდების ბუნებისა და მიზეზის შესახებ და დაიცვას თავი ამ ენაზე, აუცილებლობის შემთხვევაში, თარჯიმნის უფასო დახმარებით.

მუხლი 11

1.მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს მისი გვარისა (პატრონიმი) და პირველი სახელების უმცირესობის ენაზე გამოყენების და მათი ოფიციალური აღიარების უფლება, მათი სამართლებრივი სისტემით დადგენილი პირობების შესაბამისად.

2.მხარეები ვალდებულებას იღებენ აღიარონ, რომ ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება გამოიყენოს მისი უმცირესობის ენობრივი ნიშნები, წარწერები და სხვა პირადი ხასიათის ინფორმაცია, რომელიც შესამჩნევი იქნება საზოგადოებისათვის.

3.იმ ადგილებში, სადაც ტრადიციულად მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობენ პირები, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მხარეები მათი სამართლებრივი სისტემებისა და საჭიროების შესაბამისად, ასევე სხვა

სახელმწიფოებთან შეთანხმებების ფარგლებში და მათი სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით, ეცდებიან გამოფინონ ტრადიციული ადგილობრივი სახელები, ქუჩის სახელები და საზოგადოებისათვის განკუთვნილი სხვა ტოპოგრაფიული მითითებანი უმცირესობის ენაზეც, როდესაც სახეზეა ამგვარი მითითებების არსებობის საკმარისი მოთხოვნა.

მუხლი 12

1. მხარეები, საჭიროების შემთხვევაში, მიიღებენ ზომებს განათლებისა და მეცნიერული კვლევის სფეროში თავიანთი ეროვნული უმცირესობებისა და უმრავლესობის კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის ცოდნის გასაღრმავებლად.

2. ამ კონტექსტში, მხარეები, *inter alia*, უზრუნველყოფენ მასწავლებელთა პროფესიული მომზადებისა და სახელმძღვანელოებისადმი ხელმისაწვდომობის ადეკვატურ შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობენ კოტაქტებს სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის.

3. მხარეები ვალდებულია იღებენ უზრუნველყოფენ ყველა დონის განათლებისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობა იმ პირობისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს.

მუხლი 13

1. მათი განათლების სისტემის ფარგლებში, მხარეები აღიარებენ, რომ ნებისმიერ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობას, აქვთ უფლება შექმნან და წარმართონ მათი საკუთარი საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების დაწესებულებები.

2. ამ უფლების განხორციელებას შედეგად არ მოჰყვება მხარეთა რაიმე ფინანსური ვალდებულება.

მუხლი 14

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ ნებისმიერ პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება ისწავლოს მისი უმცირესობის ენა.

2. იმ ადგილებში, სადაც ტრადიციულად ან მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირები და თუკი არსებობს სათანადო მოთხოვნა, მხარეები თავიანთი განათლების სისტემის ფარგლებში ეცდებიან მაქსიმალურად უზრუნველყონ, რომ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, ჰქონდეთ უმცირესობის ენაზე სწავლის ან ამ ენაზე ინსტრუქტაჟის მიღების ადეკვატური შესაძლებლობანი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტი განხორციელდება ოფიციალური ენის სწავლის ან ამ ენაზე სწავლებისათვის ზიანის მიყენების გარეშე.

მუხლი 15

მხარეები შექმნიან აუცილებელ პირობებს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობისათვის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებასა და იმ საზოგადოებრივ საქმეებში, რომლებიც კერძოდ მათ ეხებათ.

მუხლი 16

მხარეები თავს შეიკავებენ იმ ზომების მიღებისაგან, რომლებიც ცვლიან მოსახლეობის პროპორციას იმ ადგილებში, სადაც ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირები და მიზნად ისახავენ წინამდებარე ჩარჩო კონვენციიდან გამომდინარე უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას.

მუხლი 17

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას არ ჩაერიონ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების უფლების განხორციელებაში, დაამყარონ და შეინარჩუნონ მშვიდობიანი ურთიერთობები საზღვარგარეთ იმ პირებთან, რომლებიც კანონიერად იმყოფებიან სხვა სახელმწიფოებში და კერძოდ იმათთან, რომლებთანაც მათ აკავშირებთ საერთო ეთნიკური, კულტურული, ლიგვისტური ან რელიგიური თვითმყოფადობა ან საერთო კულტურული მემკვიდრეობა.

2. მხარეები იღებენ ვალდებულებას არ ჩაერიონ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების უფლების განხორციელებაში, მონაწილეობა მიიღონ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

მუხლი 18

1. მხარეები, აუცილებლობის შემთხვევაში, ეცდებიან დადონ ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები სხვა სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით მეზობელ სახელმწიფოებთან, რათა უზრუნველყონ იმ პირების დაცვა, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს.

2. სათანადო შემთხვევებში, მხარეები მიიღებენ ზომებს შესაბამისი ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის წასახალისებლად.

მუხლი 19

მხარეები იღებენ ვალდებულებას პატივი სცენ და განახორციელონ წინამდებარე ჩარჩო კონვენციიდან გამომდინარე პრინციპები და საჭიროების შემთხვევაში, დააწესონ მხოლოდ ისეთი ლიმიტი, შეზღუდვები, რომლებიც დადგენილნი არიან საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციით, იმ ზომით, რითაც შესაბამისობაში იქნებიან ზემოთ მოხსენიებული პრინციპებიდან გამომდინარე უფლებებსა და თავისუფლებებთან.

ნაწილი III

მუხლი 20

წინამდებარე ჩარჩო კონვენციის პრინციპებიდან გამომდინარე უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისას, ნებისმიერი პირი, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, პატივს სცემს ეროვნულ კანონმდებლობას და სხვათა უფლებებს, კერძოდ იმათ უფლებებს, რომლებიც მიეკუთვნებიან უმრავლესობას ან სხვა ეროვნულ უმცირესობებს.

მუხლი 21

არაფერი, გათვალისწინებული წინამდებარე ჩარჩო კონვენციით, შეიძლება ახსნა-განმარტებული იქნას იმგვარად, რომ გულისხმობდეს რაიმე საქმიანობის წარმოებას ან რაიმე ქმედების შესრულების უფლებას, რაც წინააღმდეგობაში იქნება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან და კერძოდ, სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პრინციპებთან.

მუხლი 22

არაფერი, გათვალისწინებული წინამდებარე ჩარჩო კონვენციით, შეიძლება ახსნა-განმარტებული იქნას იმგვარად, რომ იზღუდებოდეს ან ირღვეოდეს რომელიმე ხელშემკვრელი მხარის კანონებით ან რაიმე სხვა შეთანხმებით, სადაც იგი ერთ-ერთი მხარეა, უზრუნველყოფილი რომელიმე უფლება ან ძირითადი თავისუფლება.

მუხლი 23

წინამდებარე ჩარჩო კონვენციის პრინციპებიდან გამომდინარე უფლებები და თავისუფლებები, იმ ზომით, რითაც ისინი წარმოადგენენ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის შესაბამისი დებულების საგანს, გაგებულნი იქნებიან, როგორც შესაბამისობაში მყოფნი შესაბამის დებულებასთან.

ნაწილი IV

მუხლი 24

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ზედამხედველობას გაუწევს ხელშემკვრელი მხარეების მიერ ამ ჩარჩო კონვენციის განხორციელებას. მხარეები, რომლებიც არ არიან ევროპის საბჭოს წევრები, მონაწილეობას მიიღებენ განხორციელების მექანიზმში შემდგომი განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

მუხლი 25

1. შესაბამისი ხელშემკვრელი მხარის მიმართ წინამდებარე ჩარჩო კონვენციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის ვადაში, მხარე ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს

მიაწვდის სრულ ინფორმაციას ამ ჩარჩო კონვენციაში მოცემული პრინციპების ასამოქმედებლად მიღებული საკანონმდებლო და სხვა ზომების შესახებ.

2.შემდგომში, თითოეული მხარე გადასცემს გენერალურ მდივანს პერიოდულ საფუძველზე და მინისტრთა კომიტეტს მოთხოვნისამებრ ამ ჩარჩო კონვენციის შესრულებასთან დაკავშირებულ შემდგომ ინფორმაციას.

3.გენერალური მდივანი გადასცემს მინისტრთა კომიტეტს ამ მუხლის შესაბამისად მოწოდებულ ინფორმაციას.

მუხლი 26

მხარეთა მიერ ამ ჩარჩო კონვენციაში მოცემული პრინციპების ასამოქმედებლად მიღებული ზომების ადეკვატურობის შეფასებაში მინისტრთა კომიტეტს დაეხმარება საკონსულტაციო კომიტეტი, რომლის წევრებსაც ექნებათ აღიარებული ცოდნა ეროვნული უმცირესობების დაცვის სფეროში. საკონსულტაციო კომიტეტის შემადგენლობა და მისი რეგლამენტი განისაზღვრება მინისტრთა კომიტეტის მიერ ამ ჩარჩო კონვენციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის ვადაში.

ნაწილი V

მუხლი 27

ეს კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის. კონვენციის ძალაში შესვლის თარიღამდე, იგი ღიაა ხელმოსაწერად ნებისმიერი სხვა სახელმწიფოსათვის, რომელსაც მოიწვევს მინისტრთა კომიტეტი. იგი ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას. სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 28

1.ეს ჩარჩო კონვენცია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამოწურვას თარიღიდან, როდესაც ევროპის საბჭოს შვიდი წევრი

სახელმწიფო 27-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად განაცხადებს თავის თანხმობას იყოს ვალდებული კონვენციით.

2. ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომში განაცხადებს თავის თანხმობას იყოს ვალდებული მისით, ჩარჩო კონვენცია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამოწურვას სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების თარიღიდან.

მუხლი 29

1. ამ ჩარჩო კონვენციის ძალაში შესვლისა და ხელშემკვრელ მხარეებთან კონსულტაციების შემდეგ, ევროპის საბჭოს სტატუსის 20.d მუხლის შესაბამისად ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებით, შეუძლია მიიწვიოს ევროპის საბჭოს არაწევრი სახელმწიფო მიუერთდეს კონვენციას, რომელიც 27-ე მუხლის შესაბამისად მიწვეულია ხელი მოაწეროს კონვენციას, მაგრამ ჯერ არ მოუწერია ხელი და ასევე ნებისმიერი სხვა არაწევრი სახელმწიფო.

2. შემდგომში მიერთებული სახელმწიფოს მიმართ, ჩარჩო კონვენცია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამოწურვას ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარების თარიღიდან.

მუხლი 30

1. ნებისმიერ სახელმწიფოს ხელმოწერის ან მისი სარატიფიკაციო, მიღების, დამტკიცების ან მიერთების სიგელის შესანახად დეპონირებისას შეუძლია განსაზღვროს ის ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც იგი პასუხს აგებს და რომელთა მიმართაც მოხდება ამ ჩარჩო კონვენციის გამოყენება.

2. ყველა სახელმწიფოს მოგვიანებით ნებისმიერ დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული დეკლარაციის მეშვეობით, შეუძლია გაავრცელოს ამ ჩარჩო კონვენციის გამოყენება დეკლარაციაში მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე. ამგვარი ტერიტორიის მიმართ, ჩარჩო კონვენცია

ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამოწურვას გენერალური მდივნის მიერ ამგვარი დეკლარაციის მიღების თარიღიდან.

3.წინა ორი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დეკლარაცია, ამგვარ დეკლარაციაში მითითებული ტერიტორიების მიმართ, შეიძლება უკან იქნას გამოთხოვილი გენერალური მდივნის სახელზე შეტყობინების გაგზავნის გზით. უკან გამოთხოვა ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამოწურვას გენერალური მდივნის მიერ ამგვარი შეტყობინების მიღების თარიღიდან.

მუხლი 31

ყველა მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია დენონსაცია გაუკეთოს ამ ჩარჩო კონვენციას ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეტყობინების გაგზავნის საშუალებით. ამგვარი დენონსაცია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს ექვსთვიანი ვადის ამოწურვას გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან.

მუხლი 32

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი აცნობებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, სხვა ხელმომწერ სახელმწიფოებს და სახელმწიფოებს, რომლებიც მიუერთდნენ ამ ჩარჩო კონვენციას:

a) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;

b) ნებისმიერი სარატიფიკაციო, მიღების, დამტკიცების ან მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარების შესახებ;

c) ამ ჩარჩო კონვენციის 28-ე, 29-ე და 30-ე მუხლების შესაბამისად ძალაში შესვლის შესახებ;

d)ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინების ან კომუნიკაციის შესახებ, რომელიც შეხებაში იქნება ამ ჩარჩო კონვენციასთან.

ამის დასტურად ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ იყვნენ რწმუნებულნი, ხელი მოაწერეს წინამდებარე ჩარჩო კონვენციას.

შესრულებულია სტრასბურგში 1995 წლის თებერვლის პირველ დღეს ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. ორივე ტექსტი არის თანაბრად აუთენტური შედგენილი თითო ეგზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადასცემს დამოწმებულ ასლებს ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს და ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს, რომელიც მიწვეულია ხელი მოაწეროს ან მიუერთდეს ამ ჩარჩო კონვენციას.